ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 6-90709/12

"08" 01 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, კაიროს ქუჩა №26-34-ში (საკ. კოდი №01.19.21.002.289) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საწყობი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1097704 28.01.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, კაიროს ქუჩა №26-34-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-4" ფასადზე: შემცირებულია კარის გაბარიტები, შეცვლილია მისი ნახატი და ფერი. გაზრდილია ფანჯრის სიმაღლე და შეცვლილია მისი ნახატი.

„ა-ზ" ფასადზე: დამატებით მოწყობილია ღიობი.

„ზ-ა" ფასადზე: დამატებით მოწყობილია ღიობი. შემცირებულია კარის გაბარიტები და მონაცვლებული აქვს ადგილი. გაზრდილია ფანჯრების სიმაღლე.

შენობაში კოლონებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი. შესამინია ფანჯრის ღიობები.

შემცირებულია შენობის გაბარიტები, რის გამოც შემცირებულია შენობის ფართი. გაზრდილია შენობის გადახურვის კეხის და ძირის სიმაღლე.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „კვაირი"-ს, შალვა ჯიბლაძეს, ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, კაიროს ქუჩა №26-34-ში (საკ. კოდი №01.19.21.002.289) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საწყობი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №90709/12 25.11.2015წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA010165400015416

№16/172038

04 / ივლისი / 2016 წ.

შპს "კვაირი"-ს დირექტორი შალვა ჯიბლაძე
გ.ხმელნიცკის 48.8 კორპ, ბინა86

ბატონო შალვა,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #203934/07 წერილის პასუხად გაცნობებთ: სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, კაიროს ქ. #26-34-ში (საკ. კოდი N01.19.21.002.289) მდებარე ობიექტის (საწყობი) გადამოწმებით დადგინდა, რომ სამსახურის 08.01.2016წ. #ბ-90709/12 ბრძანებაში მითითებული დარღვევა „შესამინია ფანჯრის ღიობები“ გამოსწორებულია, კერძოდ, აღნიშნული ღიობები შემინულია. ბრძანებაში მითითებული სხვა დარღვევები უცვლელია.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე